

# წინა მოწვევის პარლამენტის საქმიანობაში უარყოფითმა ნაბიჯებმა დადებითს ბადაატარბა

გაზეთი “National Business” – 2 ივნისი, № 022, 2008

საქართველო საარჩევნო ეიფორიაშია. სულ რაღაც ორი კვირის წინ, ქვეყანამ “რეკოლუციური” პარლამენტი გაისტუმრა და “ახალ” პარლამენტს საკანონმდებლო შენობის კარი გაუღო. უზარმაზარი სახელისუფლებო რესურსის მქონე “ნაციონალურ მოძრაობას” რამდენიმე ოპოზიციური პარტია შეერკინა. თუმცა ტრადიცია ამჯერადაც არ დარღვეულა და პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით კვლავ სახელისუფლებო პარტია მოხვდა. შტამბეჭდავი აქვთ დაპირებები და სამოქმედო გეგმები, რომელთა მიხედვითაც სულ რაღაც ხუთ წელიწადში საქართველო “ეკონომიკურ ოაზისად” გადაიქცევა. თუმცა, სანამ ახალი პარლამენტი წინასაარჩევნო დაპირებებისა და გეგმების შესრულებას შეუდგება, მანამდე თვალი გადავაგვლოთ წინა მოწვევის პარლამენტის საქმიანობას. საინტერესოა, რამდენად სასარგებლო იყო მათი მუშაობა ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის. ამ და სხვა საკითხებზე “ნაციონალურ ბიზნესს” წინა მოწვევის პარლამენტის წევრი ლადო პაპავა ესაუბრა.

ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით პარლამენტის ოთხწლიან საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობის კუთხით?

**ღადღო პაკაშვილი:** პარლამენტის ოთხწლიანი საქმიანობის ერთმნიშვნელოვანი შეფასება რთულია. იყო როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი ნაბიჯებიც.

## პოზიტივები

დავიწყოთ ჯერ წარმატებულით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ ვარდების რევოლუციამდე ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისი იყო. რევოლუციის შემდეგ მოსულმა მთავრობამ კი ამ კრიზისის დაძლევა მოახერხა. 2004 წელს დაიფარა ძველი დავალიანებები და ბიუჯეტი პარლამენტში ყოველთვის მზარდი პარამეტრებით შემოდიოდა.

ასევე 2004 წელს მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც დღეს მოქმედ საგადასახადო კოდექსთან შედარებით უფრო ლიბერალური იყო. შემცირდა საგადასახადო განაკვეთები, საგადასახადო დავებისათვის კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი შეიქმნა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი და ყველაფერი გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვინიას სახელთან იყო დაკავშირებული. თუმცა როგორც კი ის გარდაიცვალა, პირველი რაც ნოღაიდელის მთავრობამ გააუქმა, ეს იყო არბიტრაჟის ინსტიტუტი. ამით, პრაქტიკულად, ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი გაუქმდა.

შემდეგ ასევე მინდა გამოვყო ცვლილებები ჩვენს საბაჟო კანონმდებლობაში. საბაჟო პროცედურები გამარტივდა, განუღდა თითქმის ყველა საბაჟო ტარიფი და დარჩა მხოლოდ 5 პროცენტის ტარიფი სამშენებლო მასალებისა და 12 პროცენტის ტარიფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტზე. ეს იყო, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის კიდევ უფრო მეტად განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ბიზნესის დაწყების პროცედურების გამარტივება, ლიცენზიებისა და ნებართვების აღების პროცედურის გამარტივება, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი

წინადადებული ნაბიჯია. ამან ქვეყანაში ბიზნესის დაწყება გაამარტივა.

## ნებატივები

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, სამწუხაროდ, აქ უფრო მეტი გვაქვს სათქმელი. პირველ რიგში ეს იყო 2004 წელს ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება. ამის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკაში გამოჩნდნენ მონოპოლიური სტრუქტურები, რომლებიც საქართველოს ბაზარს აკონტროლებდნენ. კუროზული რამეც მოხდა, როდესაც 2007 წლის შემოდგომაზე მთავრობის სხდომაზე, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არტარებდა, იქ გაუღერდა ასეთი რამე, რომ თურმე მარილის და შაქრის მონოპოლიებს უნდა ებრძოდეს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც პოლიციისა და უშიშროების სამსახურის ერთობლიობაა. ბუნებრივია, რომ ეს მათი ფუნქცია არ არის.

ასევე დიდ შეცდომად მიმაჩნია სურსათის უვნებლობის სისტემის გაუქმება. დღეს ჩვენი მომხმარებლები ჩვენს ქვეყანაში არანაირად დაცულები არა არიან სურსათის ხარისხით. მნიშვნელოვან შეცდომად მიმაჩნია ისეთი კანონის მიღება, როგორც არის კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ. ამით ჩვენ პრაქტიკულად ორიენტაცია ავიღეთ იმაზე, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი რეგიონი განვითარდეს.

მცდარი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ბუნებრივი რესურსების პრივატიზაციასთან დაკავშირებით. ყოველგვარი წესების გარეშე მათი მიყიდვა უცხოელებზე ნებადართული იქნა, რაც, პრაქტიკულად, მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე და ჩვენი კონკრეტული მეზობლებთან არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების საკითხს ღიად ტოვებს.

უარყოფითად უნდა შეფასდეს შრომის კოდექსი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოში ხშირად ხდებოდა კანონის დარღვევა და პარლამენტი ამაზე თავს ხუჭავდა. ეს არის პირველ რიგში ხელყოფა საკუთრების უფლებისა, რომელიც ფორმალურად დაცული

იყო როგორც კონსტიტუციურად, ასევე კანონებითაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არაერთი ფაქტი ვიცით, როდესაც ადამიანს აიძულებდნენ დაეწერათ ვითომდა თავისი ნებით უბრუნებდნენ სახელმწიფოს ქონებას. პრაქტიკულად ამითი მესაკუთრის ინტერესი დაუცველი იყო. ასე რომ პარლამენტი ძირითადად შემსრულებელი იყო იმისა, რაც მთავრობას სურდა.

მთავრობის ძირითდი იდეოლოგი ეკონომიკის საკითხებში გახლდათ და დღესაც არის ბ-ნი კახა ბენდუქიძე, რომელიც სინამდვილეში ქართული სახელმწიფოს დასუსტებას ემსახურება. რაც ზურაბ ჟვანია პრემიერ-მინისტრი აღარაა, კიდევ უფრო მეტი შეცდომა იქნა დაშვებული. რა თქმა უნდა, შეცდომები მანამდეც იყო; მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახური ზურაბ ჟვანიას დროს გაუქმდა. ეს იყო მისი დიდი შეცდომა, მაგრამ სხვა მნიშვნელოვანი შეცდომები უკვე შემდეგ პერიოდში მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პარლამენტს ტყუილად არ ეძახდნენ მთავრობის, ხოლო ეკონომიკის სფაროში – ბენდუქიძის, ნოტარიუსს.

**– თქვენ თქვით, რომ პარლამენტი მთავრობის სურვილების შემსრულებელი იყო. თუ იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც საკანონმდებლო ორგანომ მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრა?**

– რა თქმა უნდა, მთავრობის სურვილებისადმი გარკვეული წინააღმდეგობა პარლამენტშიც იყო. მე მახსენდება, როცა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი შეეწინააღმდეგა კახა ბენდუქიძის მცდელობას დაესუსტებინა ეროვნული ბანკი, ეს იყო 2006 წელი და პარლამენტმა ბენდუქიძის არ გაიზიარა. საქართველოს ეროვნული ბანკის დასუსტების მეორე მცდელობა 2008 წელს იყო. პარლამენტმა უკვე ბენდუქიძე-გურგენიძის ინიციატივა გაიზიარა, თუმცა ნაწილობრივ.

ისე რომ მომხდარიყო, როგორც მთავრობას უნდოდა, ეროვნული ბანკი პრაქტიკულად განადგურდებოდა. საქართველოს ეროვნული ბანკი რომ ჯერ კიდევ არსებობს და ფეთქავს ეს პარლამენტის დამსახურებაა. თუმცა საბოლოო ჯამში, ეკონომიკის მხრივ პარლამენტის საქმიანობას დადებითად

ვერ შევაფასებ. რადგანაც პარლამენტი ძირითადად მთავრობის სურვილებს ასრულებდა, შცდომებიცა და წარმატებებიც უმთავრესად მთავრობის კისეზეა.

**– როგორ შეაფასებთ ახლად არჩეულ პარლამენტს. როგორია ახალი პარლამენტის ეკონომიკური გუნდი. აქვე რას იტყვით პოლიტიკაში წასულ ბიზნესმენებზე, რით ახსნით მათ ამ ნაბიჯს?**

– ბიზნესმენი რომ პოლიტიკაში მიდის ეს არასწორად მიმაჩნია, განსაკუთრებით ჩვენნაირ ქვეყანაში. ამ ბიზნესმენებს საერთოდ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის პოლიტიკა, რაში მიდიან, ისინი ხშირ შემთხვევაში მიდიან იმიტომ, რომ მათი ბიზნესი პოლიტიკური წნეხისაგან კიდევ უფრო დაცული იყოს. მეტი სხვა მიზნები მაგათ არ ამოძრავებთ. ასე ვთქვათ, ისინი ადვილი სამართავეები იქნებიან იმიტომ, რომ ყველას აქვს ბიზნესი და თუ პოლიტიკურად ის ვერ მოიქცევიან, როგორც ხელისუფლებას აწყობს, არსებობს საფინანსო პოლიცია, რომელიც პრობლემებს შეუქმნის ბიზნესში.

ამიტომ ბიზნესმენი, როდესაც მიდის პარლამენტში, ერთის მხრივ, ამ ბიზნესმენის მხრიდან არის თვითგადარჩენის მცდელობა, ხოლო მეორე მხრივ ხელისუფლებას სჭირდება, რომ პარლამენტში რაც შეიძლება მეტი კონტროლირებადი ხმა ჰქონდეს. რაც შეეხება ეკონომისტებს, იცით, ვფიქრობ, ეს პარლამენტი წინა პარლამენტისგან გამორჩეული იქნება იმიტაც, რომ ეკონომისტების ძალიან მცირე რაოდენობა ეყოლება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოპოზიციური პარტიები ბოიკოტს უცხადებენ პარლამენტს, ალბათ, ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავე იქნება. თუმცა, ეკონომისტები არც ოპოზიციაში არიან. ჩემთვის გულდასაწყვეტია, რომ მაჟორიტარული არჩევნები ვერ მოიგო ნიკო ორველაშვილმა, თუნდაც იმიტომ, რომ პირველ რიგში, იგი ძალიან კარგი ეკონომისტი.

**– ოპოზიცია ალტერნატიული პარლამენტის შექმნის იდეით გამოდის. რა შედეგს მოიტანს ეს ქვეყნისთვის და მისი ეკონომიკისთვის?**

– ალტერნატიული პარლამენტის შექმნა, ჩემი აზრით, შეცდომაა. თუ არ ვცდები 1990-1991 წლებში იყო მცდელობა, პარლამენტის პარალელურად გაეჭანტურებინათ, ირაკლი წერეთლის და სხვათა ინიციატივით შეიქმნა ეროვნული კონგრესი, თუმცა მან სულ ცოტა ხანი იარსება და მას

რეალურად არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა. როდესაც ოპოზიციური ლიდერები იძახიან, რომ პარლამენტში არ შევიდნენ და დარჩეს მხოლოდ ერთპარტიული პარლამენტი ეს სწორია, რადგანაც ოპოზიცია პარლამენტში რომც შევიდეს მას გადაწყვეტილების მიღებაზე არანაირი ზეგავლენა არ ექნება, თუმცა ფორმალურად დემოკრატიულობის ილუზიას კი გაამყარებს.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომაც კი მართველ ძალას პარლამენტში პროცენტულად არ ჰყავდა იმდენი წარმომადგენელი, რამდენიც ახლა ჰყავს. თუ ოპოზიცია პარლამენტში არ შევა ეს იქნება ქმედითი მექანიზმი, რათა დასავლეთმა ერთხელ მაინც გაახილოს ძალად მოჭუტული თვალი და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ისევე შეხედოს, როგორც ამას საქართველოს მოსახლეობის უანსადი ნაწილი ხედავს!

**ხათუნა ნონიაშვილი**